ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-58

15 მარტი 2023 წელი

ქ. თბილისი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის **ზერიკა შუკაკიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მიმწოდებელი: შპს „კომპანია GEOSM" წარმოდგენილი დირექტორის **თეიმურაზ ახობაძის** სახით;
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის N47;
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, მ.ასათიანის N14;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404873614;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,, პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი:MIBGGE22; ა.ა GE45 PC02 2360 0100 0108 27

ერთი მხრივ შემსყიდველი და მეორე მხრივ მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 230003765) გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის 2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო ნივთების შესყიდვა (CPV30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა, 30124000 - საოფისე მანქანების ნაწილები და აქსესუარები. 30191000 - საოფისე მოწყობილობები, ავეჯის გარდა, 30192000 - საკანცელარიო ნივთები, 30193000 - ორგანაიზერები და აქსესუარები, 30195000 - დაფები, 30196000 - საპროექტო სისტემები, 30197000 - მცირე საოფისე მოწყობილობები, 30197300 - კონვერტის გასახსნელი დანები, სტეპლერები და სახვრეტელები, 30199000 - ქაღალდის საკანცელარიო ნივთები).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 11 071.93 (თერთმეტიათასსამოცდათერთმეტი ლარი და 93 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში;
3.3 დაფინანსების წყარო: ***სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში.***

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელის რაოდენობა და მახასიათებლები შეესაბამება ხელშეკრულების ყველა პირობას.

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

მუხლი 5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის საგნის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით მოთხოვნის შესაბამისად.

5.2. შესყიდვის საგნის გადმოცემის ადგილია ქ. თბილისი, სანდრო ეულის N5.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება ეტაპობრივად (ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით) შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას;

6.2. თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკ-ლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას;

6.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საწყობის მენეჯერს გოჩა ბასილაიას ან მისი არყოფნის შემთხვევაში ეკონომიკური რესურსების სამსახურის სხვა თანამშრომელს. მიღება-ჩაბარებ-ის აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4 მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული საქონელი შესაბამისი დოკუმენტებით საკუთრებაში;
8.3.3ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.3.5საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი;
8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1მოთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2მოთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა;
10.3 სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი ირაკლი რობაქიძე ან ეკონომიკური რესურსების სამსახურის სხვა თანამშრომელი, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.4 შემსყიდველს აგრეთვე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკ-რულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
16.2 არც ერთ მხარეს აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
16.3 მესამე პირთან/პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;
16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;
16.6 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
16.7 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
16.8 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან შტამპი;
16.9 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	შპს „კომპანია GEOSM"
Company GEOSM LTD Digitally signed by Company GEOSM LTD Date: 2023.03.15 14:44:28 +04'00'	
ბერიკა შუკაკიძე	**თეიმურაზ ახობაძე**
დირექტორი	დირექტორი

დანართი N 1

N	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	CPV კოდი	განზომილება	წარმოსობის ქვეყანა	მწარმოებელი	მოდელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ჩასანიშნი ქაღალდი პლასტმასის ყუთში, ერთ ყუთში სხვადასხვა ფერის ქაღალდებით (75*75)	30196200	ცალი	ჩინეთი	JIANGYIN MERRY STATIONERY MANUFACTURE CO., LTD	SN2961	100	2.09	209
2	კალამი ბურთულიანი ლურჯი (0.7მმ წვერით, თავსახურით)	30192121	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	1000	0.13	130
3	კალამი ბურთულიანი წითელი (0.7მმ წვერით, თავსახურით)	30192121	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	200	0.13	26
4	კალამი მეტალის კორპუსით (ლურჯი) ბურთულიანი,ღილაკით, გამართული წვეროს მექანიკური დახურვა გახსნის ფუნქციით 0.7 მმ წვერით	30192121	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	100	3.16	316
5	ფანქარი საშლელით (HB)	30192130	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U500	150	0.13	19.5
6	წებო მშრალი	30192000	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	7101	25	0.39	9.75
7	ქაღალდის წებო თხევადი	30192000	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	7302S	25	0.48	12
8	სტეპლერი საშუალო 24/6-26/6 (მეტალის მყარი ხიდით, 25 ფურცლის გახვრეტის შესაძლებლობით)	30197320	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	306	30	4.34	130.2
9	სტეპლერის სკოპი 24/6-26/6 (არანაკლებ 1000 ცალიანი შეკვრა)	30124400	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	0012N	50	0.52	26
10	სტეპლერი (მეტალის მყარი ხიდით, 15 ფურცლის გახვრეტის შესაძლებლობით)	30197320	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	238	30	2.48	74.4
11	სტეპლერის სკოპი №10 (არანაკლებ 1000 ცალიანი შეკვრა)	30124400	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	0010N	50	0.4	20
12	კალენდარი სამაგიდე 2023 წლის	30199792	ცალი	საქართველო	შპს „ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	70	2.44	170.8
13	კალენდარი სამაგიდე 2024 წლის(კალენდრის მოწოდება განხორციელდება 2023 წლის დეკემბერში)	30199792	ცალი	საქართველო	შპს „ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	70	2.71	189.7
14	კედლის კალენდარი 2023 წლის (გასაშლელი) 3 განყოფილებიანი, თარიღის ინდივიდუალური მონიშვნის საშუალებით	30199792	ცალი	საქართველო	შპს „ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	70	4.71	329.7
15	კედლის კალენდარი 2024 წლის (გასაშლელი) 3 განყოფილებიანი, თარიღის ინდივიდუალური მონიშვნის საშუალებითკალენდრის მოწოდება განხორციელდება 2023 წლის დეკემბერში)	30199792	ცალი	საქართველო	შპს „ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	70	4.96	347.2

16	ტექსტმარკერი (ე.წ. Highlighter, ფოსფორისფერი ყვითელი ფერის)	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	S621	100	0.52	52
17	მარკერი დაფის შავი	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U00120	150	0.54	81
18	მარკერი დაფის ლურჯი	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U00130	150	0.54	81
19	სკრეპი საშუალო №3	30197220	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	39712	30	0.68	20.4
20	საკანცელარიო დანა დიდი	30192000	ცალი	ჩინეთი	HANGZHOU MOYA TECHNOLOGY CO., LTD	მოდელი არ გააჩნია	25	0.47	11.75
21	საკანცელარიო დანა პატარა	30192000	ცალი	ჩინეთი	HANGZHOU MOYA TECHNOLOGY CO., LTD	მოდელი არ გააჩნია	25	0.4	10
22	სათლელი (პლასტმასის)	30192133	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	594	25	0.26	6.5
23	მელანი შტამპის (ბეჭდის); ფერი - მოთხოვნის შესაბამისად; 30 მლ. (არა ზეთოვანი)	30192110	ცალი	ჩინეთი	NAN MEE INDUSTRY CO., LTD (HORSE)	მოდელი არ გააჩნია	10	0.81	8.1
24	დაფის საშლელი (მაგნიტის)	30195921	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	7840	10	0.87	8.7
25	კორექტორი როლერი,	30192910	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	H08	50	0.79	39.5
26	კორექტორი თხევადი, ფუნჯით	30192920	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	39291	20	0.93	18.6
27	ფლიფჩარტის ქაღალდი (20 ფურცლიანი შეკვრა)	30197621	შეკვრა	საქართ ველო	შპს კომპანია GEOSM	მოდელი არ გააჩნია	250	8.41	2102.5
28	ასაკინძი აპარატის აქსესუარები A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძი ლითონის ზამბარა (30-60 გვერდის ოდენობის) ასაკინძად	30192700	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	HM008	20	21.29	425.8
29	ასაკინძი აპარატის აქსესუარები A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძი ლითონის ზამბარა (80-100 გვერდის ოდენობის) ასაკინძად	30192700	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	HM012	20	26.33	526.6
30	ასაკინძი აპარატის აქსესუარები გამჭვირვალე ყდა A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძად	30192700	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	H3922	20	13.84	276.8
31	სწრაფჩამკერი	30197210	ცალი	თურქე თი	UMUR KIRTASIYE SANAYI VE TICARET A.S.	U1180P-MA-ECO	100	0.24	24
32	პერმანენტ მარკერი შავი	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10020	350	0.43	150.5
33	პერმანენტ მარკერი ლურჯი	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10030	350	0.44	154
34	პერმანენტ მარკერი წითელი	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10040	350	0.4	140
35	პერმანენტ მარკერი მწვანე	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10350	350	0.47	164.5
36	ბეიჯი (ჰორიზონტალური A1, შიდა ზომა არანაკლებ 90X54 მმ)	30191140	ცალი	ჩინეთი	HANGZHOU MOYA TECHNOLOGY CO., LTD	მოდელი არ გააჩნია	300	0.19	57
37	ბეიჯის ზონარი (არანაკლებ 85სმ. სიგრძის, სამაგრით)	30191140	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	5764	300	0.39	117

38	ჩასანიშნი წებოვანი გამჭვირვალე, ფერადი (დივაიდერი)-არანაკლებ 7 ფერში	30196200	ცალი	ჩინეთი	JIANGYIN MERRY STATIONERY MANUFACTURE CO., LTD	SN5071	30	0.92	27.6
39	თითის დასასველებელი (პლასტმასის, ბურთულიანი)		ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	9109	20	2.34	46.8
40	ფერადი ფანქარი შეკვრაში არანაკლებ 6 ფერი	30192130	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	C00100	50	1.86	93
41	ფერადი ქაღალდი A4 ფორმატის მაღალი ხარისხის 80 გრ/მ2 შეკვრაში არანაკლებ 250 ფურცელი 10 ფერიანი.	30197630	შეკვრა	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	80-250	50	9.82	491
42	საკანცელარიო ქაღალდის სკოჩი 50მმ.X25მ.	30192000	შეკვრა	ჩინეთი	HANGZHOU MOYA TECHNOLOGY CO., LTD	მოდელი არ გააჩნია	200	5.04	1008
43	საკანცელარიო სკოჩი (ქაღალდის სკოჩი 48მმ 18.3მ)	30192000	შეკვრა	ჩინეთი	HANGZHOU MOYA TECHNOLOGY CO., LTD	მოდელი არ გააჩნია	200	2.97	594
44	საკანცელარიო სკოჩი (ქაღალდის სკოჩი 24მმ 18.3მ)	30192000	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	30670	200	1.5	300
45	საკანცელარიო სკოჩი გამჭვირვალე სქელი	30192000	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	W30180-321-40	200	1.01	202
46	დაფის საწმენდი სითხე	39292110	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	00103-W	20	1.26	25.2
47	მექანიზმიანი ბეჭედი (შტამპი) PRINTER R 40-ის მსგავსი	30192155	ცალი	ავსტრია	COLOP STEMPELERZEUGUNG SKOPEK GMBH & CO. KG	PRINTER R 40	2	49.5	99
48	მექანისმიანი ბეჭედის (შტამპის) სათადარიგო ბალიში	30192111	ცალი	ავსტრია	COLOP STEMPELERZEUGUNG SKOPEK GMBH & CO. KG	E/R40	2	12.39	24.78
49	სახაზავი გამჭირვალე 30სმ	30192000	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	6230	50	0.67	33.5
50	საკანცელარიო მაკრატელი (არანაკლებ 17 სმ)	30192000	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	603	70	1.78	124.6
51	საკანცელარიო ჭიქა ორგანაიზერი	30193000	ცალი	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	LY-9112	30	1.92	57.6
52	სამაგიდე ნაკრები 12 საგნით	30193100	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	38253	30	10.93	327.9
53	საკანცელარიო სკოჩი პატარა გამჭვირვალე	30192000	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	30011	100	0.21	21
54	საკანცელარიო სკოჩი ორმაგი	30192000	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	30401	100	0.68	68
55	ჭიკარტი ფერადი თავებით	30197100	შეკვრა	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	21	50	1.01	50.5
56	გასავლის ზედდებული	30192000	ცალი	საქართველო	შპს „ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	10	2.89	28.9
57	დაფა კორპის ზედაპირით (ზომა 60X90)	30195000	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	39053	20	26.7	534
58	კონვერტი A4 ფორმატის	30199230	ცალი	ჩინეთი	UMUR BASIM VE KIRTASIYE SAN. VE TIC. A.S.	მოდელი არ გააჩნია	2000	0.17	340

59	CD მარკერი შავი	30192125	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10420	30	0.68	20.4
60	სახვრეტელა(დირაკოლი) 30 ფურცლიანი	30197330	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	104	5	10.53	52.65
61	საშლელი მაღალი ხარისხის	30192100	ცალი	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	7545	50	0.3	15
									11071.93

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

ზერიგა შუკაკიძე

დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „კომპანია GEOSM“

Company GEOSM LTD

Digitally signed by Company GEOSM LTD
Date: 2023.03.15 14:44:47 +04'00'

თეიმურაზ ახობაძე

დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „კომპანია GEOSM") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორი _____ /ზერიკა შუკაკიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის საწყობის

მენეჯერი _____ /გოჩა ბასილაია/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის

ჯგუფის უფროსი _____ ირაკლი რობაქიძე/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის მოადგილე _____ /დავით ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული

ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის

უფროსი _____ / ია ძებისაური/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული

ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების

ჯგუფის უფროსი _____ /ნიკო გიგოლაშვილი/

შემსრულებელი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების

სპეციალისტი _____ /ირინე სადრაძე/